NEWSLETTER

აპრილი ,2017

- პროფესიული განათლების ჰაკათონის პრეზენტაცია
- პროფესიული განათლების ფესტივალი
- ტრენინგი - სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების საკითხებში
- ტრენინგი სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობა
- პროფესიული განათლების შესახებ კანონპროექტის განხილვა
- FLA-ILO-Adidas-puma-New Balance - Nike ერთობლივი ტრენინგი
- საინვესტიციო დოკუმენტის შემუშავება
- პროფესიული განათლების ჰაკათონი -დაჯილდოვება
- ტრენინგი კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ
- ტრენინგი - საბაჟო მოთხოვნები და პროცედურები

პროფესიული განათლების "ჰაკათონის" პრეზენტაცია

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ მხარს უჭერს პროფესიული განათლების „ჰაკათონის“ განხორციელებას. იგი წარმოადგენს „ჰაკათონის“ ოფიციალურ სპონსორს და სოციალურ პარტნიორს, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებით იმართება.

„ჰაკათონი“ ტექნოლოგიებით დაინტერესებული ადამიანების შეჯიბრი და კარგი იდეების რეალიზების, თვითგამოხატვის, ჯანსაღი კონკურენციისა და ინოვაციური პროექტების შექმნის საშუალებაა.
„ჰაკათონის“ მოიცავს ინოვაციური და მაღალტექნოლოგიური იდეის პროტოტიპის შექმნის მიზნით, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტური ჯგუფების მონაწილეობას.

პროფესიული განათლების ჰაკათონის მხარდაჭერა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ასოციაციის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა პროფსიული განათლებისა პოპულარიზების ხელშეწყობა ახალგაზრდებში.

1 აპრილს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების პარკში გამართულ პრეზენტაციაზე, რომელიც საგანთლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ გახსნა, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე მიესალმა დამსწრე აუდიტორიას და განაცხადა, რომ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, როგორც შუამავალი ორგანიზაცია კერძო და საჯარო სტუქტურებს შორის მიზნად ისახავს გაითვალისწინოს შრომის ბაზრის მოთხოვნები და ხელი შეუწყოს იმ აქტივობების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია პროფესიული განათლების გაძლიერებაზე. როგორც ბოლოდროინდელი კვლევები ადასტურებს, კომპანიებს უჭირთ შრომის ბაზარზე კვალიფიციური პროფესიული განათლების მქონე კადრების მოძიება, რაც თავის მხრივ აისახება წარმოების ეფექტურობაზე და მის განვითარებაზე“.

ასოციაცია აღნიშნული პრობლემური საკითხის მოგვარებაში წარმოადგენს მნიშვნელოვან მხარეს, რადგანაც განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, საერთაშორისო ფონდებთან, პროფესიულ სასწავლებლებსა და კერძო სექტორთან ერთად ახორციელებს არა ერთ პროექტს, რომელიც მიმართულია პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებასა და დახვეწაზე.

ამდენად, ჰაკათონის მხარდაჭერით შეგვაქვს მოკრძალებული წვლილი ახალგაზრდებში პროფესიული განათლებით დაინტერესების საკითხში.

პროფესიული განათლების ფესტივალი

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალური პარტნიორი, მონაწილეობას იღებდა პროფესიული განათლების ფესტივალში, რომელიც სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის ორგანიზებით გაიმართა „ექსპო ჯორჯიაში“.

ფესტივალს, რომელიც ვიცე პრემიერმა, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ გახსნეს, ესწრებოდნენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები და სტუდენტები, სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციები. დამსწრე საზოგადოებას მიესალმა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე, რომელმაც აღნიშნა ბიზნეს სექტორის დაინტერესება პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულების მიმართ.

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლის შემდეგ, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა პროფესიული განათლების ხელშეწყობა, რადგან კომპანიებსგან/საწარმოებისგან გაიზარდა მოთხოვნა პროფესიული ფაკულტეტების კურსდამთავრებულების მიმართ. ამდენად, „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს პროფესიული განათლების პოპულარიზებაზე მიმართულ პროექტებსა, თუ ცალკეულ აქტივობებს იმდენად, რამდენადაც დაინტერესებულია ბიზნეს სექტორისთვის ხელმისაწვდომი იყოს პროფესიული განათლების მქონე კადრები წარმოების ეფექტურობისათვის.

ტრენინგი - სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების საკითხები

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა“ და შრომისა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის აკადემიის (OSH Academy) ორგანიზებით გაიმართა ორდღიანი ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხში, კერძოდ, „სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების საკითხები“.

ტრენინგს ესწრებოდნენ სხვადასხვა საწარმოსა, თუ ორგანიზაციის ტექნიკური მენეჯერები და შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები.

ტრენინგს უძღვებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სერტიფიცირებული ტრენერი დავით ჩიჯავაძე.

სატრენინგო პროგრამის მიზანს წარმოადგენდა კომპანიებისთვის საწარმოში არსებული სახანძრო და ელექტრო საფრთხეების გამოვლენის მეთოდების შესწავლა, ასევე სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების იმ აუცილებელი ინსტრუქციებისა და პროცედურების შესწავლა, რომელიც უნდა ჰქონდეს შემუშავებული ნებისმიერ კომპანიას, მიუხედავად მისი სიდიდისა. ასეთი სისტემის გამოყენება საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული ის რისკები და საფრთხეები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ხანძრის და ელექტრო გაუმართაობის შედეგებმა.

ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატები!

კომპანიებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით კადრების გადამზადება განსაკუთრებით აქტუალური გახდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ „შრომის პირობები ინსპექტირების დეპარტამენტის შექმნის შემდეგ, რომლის მიზანია სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების არსებული პირობების ინსპექტირება.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და OSH Academy ითვალისწინებენ კერძო სექტორიდან წამოსულ მზარდ დაინტერესებას შრომის უსაფრთხოების მიმართულებით ტრენინგებისა და კონსულტაციების მიმართულებით, შესაბამისად, მუდმივად სთავაზობენ მათ ახალ პროგრამებს, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და OSH Academy თანამშრომლობენ ადგილობრივ და უცხოელ ექსპერტებთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან და შრომის ინსპექტირების დეპარტამენტთან, რათა მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდნენ კომპანიები სავალდებულო ინსპექტირების პროცესს.

ტრენინგი - სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობა

შრომის და ჯანმრთელობის უსაფრთხოების აკადემიისა (OSH Academy) და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით კომპანია „ერ ეს ტელეკომის“ თანამშრომლებისათვის ჩატარდა კორპორატიული ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებში. კერძოდ, ტრენინგის თემატიკას წარმოადგენდა თემაზე „სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობა“.

ტრენინგი დაფუძნებული იყო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) სტანდარტიზებულ მოთხოვნებს სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობასთან მიმართებაში.

ტრენინგზე განიხილეს შემდეგი ძირითადი საკითხები:
• სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის წესები, თანმიმდევრულობა და პასუხისმგებლობები; მოთხოვნები დაცვის სისტემებისა და აღჭურვილობისადმი;
• კვანძები და მათი შეკვრა; თოკები და მათი ტიპები (თოკის გადაკიდება);
• ვარდნისგან დამცავი სისტემები;
• ზოგადი და სამუშაოსთან დაკავშირებული რისკები;
• აღჭურვილობის მოვლა;
• მოთხოვნები კიბეებისადმი (SOP1) და სხვა.

გარდა თეორიული ნაწილისა, ტრენინგის დატვირთული იყო პრაქტიკული სწავლებით, სადაც „ერ ეს ტელეკომის“ თანამშრომლებმა სამუშაო ადგილზე გაიარეს სიმულაციური სავარჯიშოები. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და OSH Academy ბიზნეს სექტორს მუდმივად სთავაზობს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით კონსულტაციებს, ტრენინგებს, ლიტერატურას და სხვა სახის სერვისებს, რათა კომპანიები მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდენენ შრომის ინპექციის მონიტორინგს.

პროფესიული განათლების შესახებ კანონპროექტის განხილვა

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ წევრი კომპანიების წარმომადგენლებმა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველ მოადგილესთან, ქეთევან ნატრიაშვილთან ერთად საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“ შესატან ცვლილებებს განიხილეს. შეხვედრა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

ახალი კანონი, რომლის მომზადება დაიწყო 2014 წელს, მიზნად ისახავს:

• პროფესიული განათლების სისტემის ხარისხისა გაუმჯობესებას;

• ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის მოქნილი კავშირების დამყარებას;

• კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის ჩამოყალიბებას;

• მომზადება-გადამზადების სისტემების შექმნას;

• კომპანიებისა და კოლეჯების მიერ ერთობლივი პროგრამების განხორციელებისათვის სამართლებრივი საფუძვლების შექმნას და სხვა.

ხოლო შეხვედრის, რომელიც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა, მიზანს წარმოადგენდა ბიზნეს სექტორის შენიშვნებისა და მოსაზრებების გაზიარება სამინისტროს წარმომადგენლებისათვის, რათა მაქსიმალურად აისახოს კერძო სექტორის მოთხოვნები და საჭიროებები პროფესიული განათლების მიმართ. პროფესიული განათლების შესახებ კანონპროექტის ამ სახით განხილვა უპრეცედენტოა და წარმოადგენს მაღალი ინტერესის ობიექტს როგორც ბიზნეს სექტორის, ისე საჯარო სტრუქტურების და სასწავლებლების მხრიდან, ვინაიდან მკვეთრადაა გაზრდილი მოთხოვნა პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მქონე სტუდენტების მიმართ. ყველა დაინტერესებული მხარე თანხმდება იმაზე, რომ მჭიდრო კომუნიკაციისა და მსჯელობის გარეშე ვერ ჩამოყალიბდება შედეგზე ორიენტირებული მიდგომა პროფესიული განათლების შესახებ.

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ბიზნესგაერთიანება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია თავის წევრ და პარტნიორ კომპანიებს, საშუალება მისცა უშუალოდ მიეღოთ მონაწილეობა აღნიშნული კანონპროექტის შემუშავებაში და დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები.

FLA-ILO-Adidas-puma-New Balance - Nike ერთობლივი ტრენინგი

20-21 აპრილს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა შრომის ინსპექტორებისათვის სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის შესახებ FLA-ILO-Adidas-New Balance-Nike ერთობლივი ტრენინგი.

ტრენინგს უძღვებოდნენ:
ენეს უნ, Adidas - EMEA რეგიონალური დირექტორი
ლოეი ტოლბა - New Balance, EMEA რეგიონალური მენეჯერი
ოლგუნ აიდინი - PUMA, EMEA რეგიონალური მენეჯერი,
კანერ სოიტას - Nike, EMEA რეგიონალური დირექტორი
ლეიო სიბელი- ILO, შრომის საერთაშორსო სტანდარტების მთავარი სპეციალისტი

ორდღიან ტრენინგზე განიხილეს შემდეგი ძირითადი საკითხები:
• რა არის SCI?
• ობიექტზე შემოწმების ნაბიჯები
• რისკის შეფასების ანგარიში
• ქარხანაში უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ზოგადი პირობები
• ქიმიური უსაფრთხოება
• სამუშაო ადგილზე ჯანდაცვის განყოფილებები/პრიველადი დახმარება
• ჰიგიენის პირობები
• სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ტრენინგები

ტრენინგის მონაწილეებმა გაიზიარეს ისეთი აღიარებული კომპანიების გამოცდილება, როგორებიცაა New Balance, Adidas, Nike. ასევე, მიიღეს რეკომენდაციები FLA და ILO-ს ექსპერტებისაგან.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია წარმოადგენს, შრომის საერთაშორიო ორგანიზაციისა (ILO) და შრომის ინსპექტირების დეპარტამენტების სოციალურ პარტნიორს.

საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავება

19-21 აპრილს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) წარმომადგენლების მიერ შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც ქმნის საქართველოში საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტს, რომელშიც აისახება ბიზნეს სექტორის ხედვა.

საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების იდეა და საჭიროება ეფუძნება 2016 წელს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ ჩატარებულ ბიზნეს გარემოს კვლევის შედეგებს.

აღნიშნული კვლევა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარდა პროგრამის „ხელშემწყობი გარემო მდგრადი საწარმოებისთვის საქართველოში“ (Enabling Environment for Sustainable Enterprises (EESE) ფარგლებში.

კვლევის შედეგად ბიზნესის კეთების შემაფერხებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად დასახელდა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, ხოლო დოკუმენტი, რომელიც ამ ეტაპზე მუშავდება, ეხმიანება აღნიშნულ საკითხს. კერძოდ, დოკუმენტის შექმნის მიზანია პოლიტიკური რეფორმების საჭიროების დასაბუთება და რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში საინვესტიციო პოლიტიკის გაუმჯობესების მიმართულებით.

დოკუმენტი შემუშავების შედეგად წარედგინებათ შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებს და სტიმულს მისცემს შემდგომ მსჯელობას.

საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი იქმნება ბიზნეს სექტორის მოსაზრებების გათვალისწინებით.

პროფესიული განათლების ჰაკათონი

23 აპრილს საქართველოს ტექნოლოგიურ პარკში გაიმართა პროფესიული განათლების ჰაკათონი, რომლის მთავარ სპონსორს „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ წარმოადგენდა.

პროფესიული განათლების ჰაკათონი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა და მასში მონაწილეობას იღებდნენ პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისგან შემდგარი გუნდები, რომლებმაც წარმოადგინეს მათ მიერ შექმნილი მაღალტექნოლოგიური იდეების პროტოტიპები.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე წარმოდგენილი იყო ჟიურიში, რომელმაც გამოავლინა გამარჯვებული. როგორც ბატონმა ელგუჯამ აღნიშნა, მის, როგორც ბიზნესის წარმომადგენლის, მიერ გუნდების შეფასებების მთავარი კრიტერიუმები იყო ინოვაციურობა და პერსპექტივაში მაღალი კომერციული დაინტერესება.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აქტიურადაა ჩართული პროფესიული განათლების პოპულარიზებისა და გაძლიერების მიზნით წამოწყებულ პროექტებში, რათა მაქსიმალურად აღმოიფხვრას შრომის ბაზარზე არსებული პრობლემა მოთხოვნადი კადრების დეფიციტთან დაკავშირებით.

ტრენინგი - საბაჟო მოთხოვნები და პროცედურები

საბაჟო სფეროში ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ცვლილებებთან დაკავშირებით ბიზნეს სექტორის მხრიდან წამოსული დაინტერესებისა და მოთხოვნის გათვალისწინებით 22 აპრილს „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაიმართა ტრენინგი თემაზე „საბაჟო მოთხოვნები და პროცედურები“.

ტრენინგის ჩასატარებლად მოწვეული იყვნენ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელი პირები და კვალიფიციური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები, რომელთაგანაც კომპანიების წარმომადგენლებმა მიიღეს ინფორმაცია მათთვის საჭირო, პრაქტიკული მნიშვნელობის მქონდე საკითხებზე.

ტრენინგს უძღვებოდა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, შემოსავლების სამსახურის მთავარი ექსპერტ-აუდიტორი გონერი ურიდია.

ტრენინგი მიზნად ისახავდა, რომ მონაწილეების გარკვევას დღეისათვის მოქმედ საბაჟო პროცედურების ნიუანსებში; გაიზარდოს კომპანიებს თანამშრომელთა ეფექტურობა; ამაღლდეს მონაწილეთა კვალიფიკაცია საბაჟო საკითხების ცოდნის თვალსაზრისით, ისე რომ გაუადვილდეს კომპანიების საბაჟო წარმომადგენლებს სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღება მონაწილეები გაეცვნენ საბაჟო დეპარტამენტში დანერგილ სიახლეებს და ინფორმაციის მოპოვების წყაროებს;

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატი.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია როგორც წევრ, ისე არაწევრ კომპანიებს სისტემატურად იწვევს აქტუალური საკითხების შესახებ გამართულ ტრენინგებსა და სემინარებზე.

ტრენინგი კოლექტიური მოლაპარაკებების შესახებ

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა (GEA) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებით გაიმართა სამდღიანი ერთობლივი ტრენინგი კოლექტიური მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები დამსაქმებლების სახით და პროფკავშირები, როგორც დასაქმებულების მხარე.

ტრენინგს უძღვებოდნენ კანადიდან მოწვეული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის და ადგილობრივი ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეებს გაუზიარეს საერთაშორისო და ეროვნულ საკონანომდებლო ჩარჩო (რეგულაციები, ნორმატიული აქტები და ა.შ) და არსებული პრაქტიკა.

ტრენინგის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება და პოზიციები კოლექტიური მოლაპრაკებების პრაქტიკის; მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების, დამახასიათებელი ნიშნების და პროცესების შესახებ.

ტრენინგი დატვირთული იყო როლური თამაშებით და დისკუსიებითა, რათა მონაწილეებს განემტკიცებინათ ცნებები და მიერთოთ საჭირო უნარ-ჩვევები კოლექტიური მოლაპარაკებების ეფექტური დანერგვისა და შედეგების მისაღწევად მათ საქმიანობაში.
ტრენინგის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

აღნიშნული ტრენინგები გაიმართა პროექტის „შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური დიალოგის ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია (GEA) წარმოადგენს სამმხრივი სოციალური დიალოგის მხარეს დამსაქმებელების პოზიციიდან და აქტიურად არის ჩართული იმ პროგრამებში, რომლებიც მიმართულია საქართველოში შრომითი ურთიერთობების გაჯანსაღებაზე.

GEA
ASSOCIATION
EMPLOYERS
GEORGIAN

მის.: 0159, ა. ბელიაშვილის ქ. #8, თბილისი
ტელ.: +995 32 2 14 73 73
მობ.: +995 579 555 551
ელ-ფოსტა: employer@employer.ge
www.employer.ge